დღის ნომერში 8

დინამოელთა ფორუმზე — მე-2 გვ.

ფეროელთა შრომითი და სპორტული საქმეები — მე-2-3 გვ.

კორჩნოის ერთი ინტერვიუს გამო — მე-4 გვ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 248 (5278) 1974 წ. 15 დეკემბერი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




იმ 21 მოკრივიდან, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის, შეჯიბრებას შემორჩნენ ნახევარფინალის მონაწილენი: ე. გორსტკოვი (ორსკი) — ვ. გრებენიუკი (ალმა-ათა) და ი. ვისოცკი (მაგადანი) — გ. კოკურინი (კრასნოდარი). 29 დეკემბერს კი მოსკოვის ძველი ცირკის სარბიელზე შედგება ფინალი, რათა გაირკვეს ამ მაღალი წოდების მფლობელი რიგით მეოთხე მოკრივე. ადრეულ წლებში აბსოლუტური ჩემპიონები იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. მიხაილოვი, ე. ოგურენკოვი და ოთხჯერ — ნ. კოროლიოვი. გარდა ჩემპიონის წოდებისა, გათამაშდება აგრეთვე, კოროლიოვის სპეციალური პრიზი ყველაზე ნებისყოფიანი მოკრივისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვის „კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლის საერთო ხედი, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს.

საკდესის ფოტო.

## ჩემპიონებოდ...

ზაპოროჟიეში გრძელდება სსრ კავშირის თასისა და ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონთა ოქროს მედლების გათამაშება.

კიდევ 2 წონით კატეგორიაში გამოირკვნენ გამარჯვებულნი. მსუბუქ წონაში 23 სპორტსმენი ჩაება ასპარეზობაში, მაგრამ მაყურებლებმა მათ შორის ვერ იხილეს ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი მ. კირჟინოვი და მსოფლიო ჩემპიონი, ლვოველი პ. კოროლი. გაიმარჯვა ოდესელმა არმიელმა ვ. ივაშჩენკომ — 290 კგ. მასვე დარჩა გამარჯვება და ჩემპიონის მცირე ოქროს მედალი აკვრაში — 165 კგ. ატაცში ტოლი არ ჰყავდა პოლტაველ ა. სეროვსკის — 125 კგ.

ქვესაშუალო წონაში 325 კგ-ით გაიმარჯვა ვოროშილოვგრადელმა ვ. მიხაილოვმა. მასვე დარჩა გამარჯვება ატაცსა და აკვრაში (შესაბამისად, 142,5 და 182,5 კგ).

## რომ შვილი სჯობდეს მამასა...

ამ ოცი წლის წინათ მონკავშირმა პირველად ჩაატარა შეჯიბრება სასტენდო სროლაში საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის თასზე (იგი იმართება ყოველი წლის დეკემბერში), რომელიც შემდეგ ტრადიციული გახდა.

ამჯერად ასპარეზობა ბათუმის მონადირეთა კავშირის სტენდზე გაიმართა. საქართველოს მონკავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. გუნიავამ, აჭარმონკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ნეჟავანაძემ და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ბ. გამანოვმა (ბათუმი) ყველაფერი იღონეს ასპარეზობის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აჭარის, ქუთაისის, მახარაძისა და ზუგდიდის გუნდები.

პირველ დღეს ადგილიდან სროლაში თავიდანვე ცხარე ბრძოლა გაჩაღდა თბილისის, მახარაძისა და აჭარის სპორტსმენებს შორის. ბათუმელ მსროლელებს კარგი პერსპექტივა ჰქონდათ, მაგრამ უკანასკნელ სერიაში უსუსტოდ ისროლეს და საბოლოოდ 147 ქულით მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ. პირველ ადგილზეა მახარაძის გუნდი —150, რომელსაც 1 ქულით ჩამორჩნენ თბილისელი სპორტსმენები.

სროლის ამ სახეობაში პირადი პირველობა მოიგო სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მ. კვაჭაძემ, რომელმაც რამდენიმე ქულით გაუსწრო მის თანაგუნდელსა და... მამას, სპორტის ოსტატ ზ. კვაჭაძეს (ორივე — ბათუმი). II ადგილი წილად ხვდა მახარაძელ ბ. კვერღელიძეს, III — ქუთაისელ სპორტის ოსტატობის კანდიდატს ლ. მიზანდარს.

ასპარეზობის მეორე დღეს მრგვალ სტენდზე სროლა გაიმართა.

თბილისისა და აჭარის გუნდებს აქ სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია და პირველი (153 ქულა) და მეორე (147) ადგილებიც მათ დარჩათ. მესამე ადგილზე მახარაძელი სპორტსმენები არიან — 120 ქულა.

პირად პირველობაში საინტერესო დუელი გაიმართა ოსტატობის კანდიდატებს თბილისელ ვ. შეროზიასა და ბათუმელ დ. ხუნწარიას შორის.

შეროზიას მიერ გუნდური ასპარეზობის დროს დაგროვებულმა ორმა ზედმეტმა ქულამ დ. ხუნწარიაზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა. ბათუმელმა ვერაფრით ვერ შეძლო ამ ზღუდის გადალახვა, შემდეგში უკანასკნელი სერიის პირველივე სამიზნეს ააცილა და საბოლოოდ ხუნწარია გამარჯვებულს სამი ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისელ დ. ზაალიშვილს.

მრგვალ სტენდზე სროლაში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, აჭარა, მახარაძე. ამავე თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები კომპლექსურ ჩათვლაშიც.

თბილისის გუნდს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის თასი, ხოლო გამარჯვებულ მსროლელებს — ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

ასპარეზობას თავი აარიდა აფხაზეთის მონკავშირმა, რომლის გუნდი ყოველთვის წარმატებით გამოდიოდა ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში.

რ. ფალავანდიშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ადგილიდან სროლის ცეცხლის ხაზზე.

ავტორის ფოტო.



## სსრ კავშირის ჩემპიონატი

## ცსკა — „სპარტაკი" 1:1

## მსეც პრობლემაა: უხერხული მეტოქე!

გაიმართა მორიგი ტურის ორი მატჩი.

მოსკოვი. ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის" მეორე მატჩიც დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, თუმცა სანახაობრივად არც ისე ეფექტური იყო. პირველ ტაიმში ინიციატივას მეტწილად ლენინგრადელები ფლობდნენ, მაგრამ შესვენების წინ ცსკა-მ რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაითამაშა და დაწინაურდა — 42:40.

მეორე ნახევარშიც ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო. არმიელებმა შეძლეს უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება და გაიმარჯვეს ანგარიშით 75:70. უნდა ითქვას, რომ „სპარტაკს" რამდენიმეჯერ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში კალათბურთელები ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ. რამდენიმე საჭირო ბურთი დაკარგა ა. ბელოვმა. იგი ამ დღეს საერთოდ ამოვარდნილი იყო ანსამბლიდან.

ცსკა-მ წინა დღით დამარცხების რევანში აიღო, თუმცა მის თამაშსაც აკლდა დამაჯერებლობა და ძველებური, ყველასთვის კარგად ცნობილი ხელწერა.

მინსკი. არსებობს თუ არა სპორტში უხერხული მეტოქე? რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ ამ ტერმინის პირობითობაზე, უხერხული მეტოქე არსებობს. შეგიძლიათ მას სხვა რამ დაარქვათ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ გუნდს შეიძლება ტრადიციულად უჭირდეს თამაში ერთ რომელიმე მეტოქესთან. ბევრჯერ თქმულა იმის შესახებ, რომ რაგინდ ფორმაშიც არ უნდა იყოს მოსკოვის „დინამო", მინსკელ კალათბურთელებთან ვერასოდეს ვერ თამაშობს მთელი ძალით, ვერ ავლენს თავის შესაძლებლობათა ნახევარსაც კი. ასე მოხდა ამჯერადაც. „დინამო" დამარცხდა პირველ მატჩში — 86:92.

კალათბურთის სპეციალისტთა ერთმა ჯგუფმა მოსკოვის „დინამოს" ამ ჩემპიონატში დიდი წარმატება უწინასწარმეტყველა. „დინამო" მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს წლეულს და სავსებით რეალურია ვიფიქროთ, რომ იგი თავის შარშანდელ მიღწევას (IV ადგილი) გააუმჯობესებს. ეს რწმენა ერთი-ორად განმტკიცდა მას შემდეგ, რაც მოსკოველებმა ლენინგრადის „სპარტაკი" მისსავე მოედანზე დაამარცხეს, მაგრამ...

მოსკოვის „დინამო" მუდამ ცნობილი იყო უთანაბრო თამაშით. ერთ მატჩს იგი ნებისმიერ მეტოქეს მოუგებს, მაგრამ ისეთთან დამარცხდება, რომ წყალში ჩაყრის მთელ შთაბეჭდილებას. ამ სეზონში „დინამო" თითქოს განიკურნა ძველი სენისგან. ყოველ შემთხვევაში ასე გვეგონა გუშინწინდლამდე. მაგრამ, როგორც ჩანს, უხერხული მეტოქე, მხოლოდ ფსიქოლოგიური დაბრკოლება არ არის. იგი რეალური ძალაა, რომელსაც სამწუხაროდ, ხარკს უხდიან ჩვენი წამყვანი გუნდებიც კი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 12 | 10 | 2 | 1045—874 | 10 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—968 | 9 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 9 | 1 | 874—826 | 9 |
| „დინ." (მ.) | 11 | 8 | 3 | 936—817 | 8 |
| „ჟალგირისი" | 12 | 8 | 4 | 1035—1002 | 8 |
| „კალევი" | 10 | 4 | 6 | 814—813 | 4 |
| „სტროიტელი" | 8 | 2 | 6 | 664—697 | 2 |
| „სტატიბა" | 10 | 2 | 8 | 786—896 | 2 |
| რტი | 11 | 2 | 9 | 867—1004 | 2 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლამმანი

„ქარხნის ფიზკულტურელების ნაყოფიერი შრომით მივაღწევთ საწარმოს წინაშე მდგარი საიუბილეო ამოცანების წარმატებით შესრულებას, ჩვენი შრომით გარკვეულ წვლილს შევიტანთ საქართველოს ვალდებულებების შესრულების საქმეში". — ვკითხულობთ გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის 1974 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა ერთ-ერთ პუნქტში.

ვალდებულებანი კი კოლექტივის რეალური შესაძლებლობებისა, რეზერვების გათვალისწინებითაა შედგენილი და ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაციის ნამდვილ სარკეს წარმოადგენს.

ფერომდნობელები სამართლიანად ითვლებიან რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების ფლაგმანად და რესპუბლიკის „განთიადის" ორგანიზაციებში ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივის სახელით სარგებლობენ. ქარხნის მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მიღწევებით სამართლიანად ამაყობს საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტი, რომლის ნაკრები გუნდების მნიშვნელოვან ნაწილს რუსთაველებთან ერთად ზესტაფონელებიც შეადგენენ.

ეს წარმატება თავისთავად როდი მოსულა, იგი ამ კოლექტივის ყველა თაობის მიერ წლების მანძილზე მონდომებული, ნაყოფიერი გარჯის შედეგია.

ფეროშენადნობთა ქარხნის ოც საამქროსა და განყოფილებაში 4000-მდე კაცი შრომობს. ფიზკულტურული ორგანიზაციაც დიდია. აქ 2350 ფიზკულტურელსა და სპორტსაზოგადოება „განთიადის" 2400 წევრს ითვლიან. ნათქვამია, „დიდ ოჯახს დიდი ცომი უნდა, დიდ ცომს — დიდი გობი". ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივსაც მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის ბევრი ბაზები სჭირდებოდა, მათი ერთბაშად მოწყობა კი ყველა შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ამას წლები მოუნდა. სამაგიეროდ, ახლა აქ 10 ფრენბურთის, 8 კალათბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის მოედნები, ქალაქში საუკეთესო სტადიონი, 25-მეტრიანი საცურაო აუზი, ორი დარბაზი აქვთ.

მართალია, სტადიონზე ბევრი რამ კეთილმოუწყობია — მძლეოსნური სექტორები და სარბენი ბილიკები არ უვარგათ, აუზში წყლის გათბობაც დღემდე ვერ მოახერხეს (ამის შესაძლებლობა არის), მაგრამ რა ქნან. ქარხნის დირექციას, პროფორგანიზაციას ამ ხარვეზების გამოსწორებისთვის სახსრები არ ენანებათ, ოღონდ, როგორც ქარხანაში გვითხრეს, ვერსად ნახეს სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ხელს მოკიდებდა ამ საქმეს და ხარისხიანად შეასრულებდა (სტადიონების მოწყობის სპეციალისტებით განებივრებული როდი ვართ).

— სპორტული ბაზები თითქოს არ გვაკლია, — გვეუბნება „განთიადის" საქარხნო საბჭოს თავმჯდომარე მ. თუთბერიძე, — მაგრამ მაინც არ გვაკმაყოფილებს, ქარხნის დირექციამ გადაწყვიტა კვალითის დასახლებაში ახალი ბაზების მშენებლობა წამოიწყოს, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების აგებას ჩვენი ძალებითაც მოვახერხებთ.

ქარხნის თანამშრომელთა 50 პროცენტზე მეტი ფიზკულტურელი რომ არის, ეს დირექციის დამსახურებაცაა: მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე ზრუნვა აქ ყველა დროის ხელმძღვანელების „ქრონიკული ავადმყოფობა" იყო. ახლანდელი დირექტორი ა. ცქიტიშვილი ჭაბუკობაში რაიონის საუკეთესო სპრინტერი და ფეხბურთელი ყოფილა. პარტორგანიზაციის მდივანი თ. კაკოჩაშვილი აქ დავაჟკაცდა. მისი კარიერა ენერგეტიკული საამქროს მუშიდან დაიწყო, საწარმოო ტანვარჯიშის საუკეთესო საზოგადოებრივი მეთოდისტის სახელითაც სარგებლობდა, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ჭ. ხალაძე იმით ამაყობს, რომ პირველთანრიგოსან ძალოსანს რაიონის სპორტული ღირსებაც ბევრჯერ დაუცავს. ამის მერე რაღა გასაკვირია, რომ ფეროშენადნობელთა შორის ფიზკულტურა და სპორტი, მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი მოწოდების სიმაღლეზე იყოს.

— ჩვენთან ფიზკულტურა დიდი ხანია ხუთწლედის სამსახურში ჩავაყენეთ. ახლა იმის პროპაგანდა, რომ ფიზკულტურა და სპორტი შრომისნაყოფიერების ზრდის წყაროა, აღარავის სჭირდება, — გვიხსნის ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ო. სამყურაშვილი, — მაგალითად ფიზკულტურული ლუმელიც კმარა...

...ქარხნის მე-2 საამქროში, რომელსაც ე. ბარბაქაძე უძღვება, შარშან ნოემბერში საამქროს ფიზკულტურული ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ, ზეინკალმა გ. კახნიაშვილმა წინადადება შეიტანა ფიზკულტურული ლუმელი შეექმნათ და ამით ხელი შეეწყოთ შრომის დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებისთვის, გეგმების შესრულებისთვის.

საამქროს ხელმძღვანელობამ წამოწყებას მხარი დაუჭირა. ფიზკულტურელებს გამოუყვეს ყველაზე ჩამორჩენილი ლუმელი, რომელიც გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებდა. შეიქმნა ოთხი 8-3 კაციანი ბრიგადა. ორს სათავეში ფეხბურთელები ვ. კირკიტაძე და ნ. მესხი ჩაუდგნენ, მესამეს — მოჭადრაკე ო. ქათამაძე, მეოთხეს — მოჭიდავე გ. გუმბერიძე. ბრიგადებში მოჭიდავე სპორტის ოსტატი თ. მემანიშვილი, პირველთანრიგოსანი ძალოსანი ნ. ლეკანოსიძე და სხვები შეიყვანეს.

კუნთმაგარმა ბიჭებმა საქმეს ხეუტიეს და ერთი თვის თავზე პირველი გამარჯვება იზეიმეს — ლუმელმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ეს უბანი მას შემდეგ მუდამ მოწინავეთა შორისაა. მაგრამ აქაური ფიზკულტურელთა წარმატება მხოლოდ ეს როდია. საამქრო ქარხანაში სპორტულ საქმიანობაშიც ერთ-ერთი საუკეთესოა. მართალია, საქარხნო სპარტაკიადაში მე-2 საამქროს მექანიკურმა (უფროსი ა. მაკარიძე) და ენერგეტიკულმა (ვ. კახნიაშვილი) აჯობა, მაგრამ მათ წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ იმ საამქროებში ერთცვლიანი მუშაობაა, ფიზკულტურელებს ერთად ვარჯიშის მეტი საშუალება გააჩნიათ. თავი არც მშდ კომპლექსზე მუშაობაში შეურცხვენიათ: წლეულს უკვე 16 მეტალურგმა IV საფეხურის, 15 კაცმა კი V საფეხურის ყველა ნორმატივი ჩააბარა.

ქარხნის სპორტსმენთა ყველა წარმატების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ „განთიადის" ზონალურ სპარტაკიადაში ფეროელებმა საერთო გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრეს. აქაური მოჭადრაკეები რაიონში უძლიერესები არიან. ზესტაფონის რაიონის ქართულ მოჭიდავეთა გუნდი, რომელმაც საქართველოს ზონალურ სპარტაკიადაში I ადგილი დაიკავა, ძირითადად მეტალურგი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ნაკრები ქარხნის გუნდის მწვრთნელმა, ინსტრუქტორ-მეთოდისტმა სპორტის ოსტატმა ჭ. ჭანიაშვილმა მოამზადა.

— ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით 12 სახეობა სარგებლობს, წლეულს ლელოს გუნდიც შეიქმნა. გავგონა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ამახწი-

## „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე

გაიმართა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის 3 ივნისის დადგენილებიდან (ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ) გამომდინარე, მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის განვითარების საკითხს.

გაწეული მუშაობის შედეგებზე და მომავლის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდ წვლილზე, რაც „დინამოს" ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის საერთო მიღწევებში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში. დინამოელ სპორტსმენთა ამ წარმატებებში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელებს ლ. იოაკიმიდის და ვ. მაისურაძეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს ა. გაბრიაძეს, ჰ. ბურჯანაძეს, ვ. არსენიანს, რ. ჩაჩავას, მწვრთნელებს — ლ. მოსეშვილს, ა. დათიაშვილს.

დინამოელთა საერთო წარმატებას ხელს ისიც უწყობს, რომ ისეთ ფიზკულტურულ კოლექტივებში, როგორიცაა: თბილისის № 3 (თავმჯდომარე თ. თოდრია), № 4 (გ. ნორაკიძე), № 7 (ო. ხატიაშვილი), № 16 (ვ. მაკურაძე), აჭარის № 1 (ნ. ოსიძე), № 5 (ე. სიმონოვი), ქუთაისის № 2 (ნ. ჯანჯალია), № 6 (რ. გვირგვილიანი), აფხაზეთის № 8 (ი. გრებენჩუკი) და № 15 (რ. ანდრეევი), რუსთავის № 1 (ნ. ბრატუსი) და № 2 (ი. ჩუბინი), გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მაღალ დონეზეა დაყენებული.

წლეულს საქართველოს „დინამოს" ორგანიზაციებმა ასზე მეტი შეჯიბრება ჩაატარეს, რომლებშიც 20 ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მომზადდა 13 სპორტის ოსტატი, 165 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 1 თანრიგის, 4000-მდე მასობრივი თანრიგის სპორტსმენი.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში რესპუბლიკის ნაკრებში შეყვანილია 131 დინამოელი სპორტის 20 სახეობაში, ხოლო კალათბურთსა და წყალბურთში სპარტაკიადაში რესპუბლიკის ღირსებას მთლიანად დინამოელებით დაკომპლექტებული კოლექტივები დაიცავენ.

მომხსენებელმა ილაპარაკა ნაკრების წევრთა სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე. დინამოელმა მძლეოსნებმა — ორგზის ოლიმპიურმა, მრავალგზის ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონმა, მსოფლიოს რეკორდსმენმა სანეევმა, სსრ კავშირის პირველობის პრიზიორმა, „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პრიზიორმა, სსრ კავშირ-ფინეთის მატჩში გამარჯვებულმა ფხაკაძემ საერთაშორისო კლასის შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ მძლეოსნობის განვითარების დონე და, რაც მთავარია, სპორტული ოსტატობის ზრდის ტემპი არ შეეფერება ჩვენი სპორტული საზოგადოების შესაძლებლობას.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა ძოწიაშვილმა პოდოლსკში ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება თვითნებურად მიატოვა რამდენიმე დღით. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ბრძანებით საწვრთნელი რეჟიმის უხეში დარღვევისთვის ძოწიაშვილი გამოყვანილ იქნა ნაკრების რიგებიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მექვაბიშვილმა თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში გამოიჩინა უპასუხისმგებლობა, უპატივცემლობა მაყურებლებისა და მსაჯების მიმართ. საქართველოს „დინამოს" საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მექვაბიშვილის არასპორტული საქციელი და გამოუცხადა საყვედური.

დინამოელი მოცურავეები საქართველოს უცვლელი ჩემპიონები არიან, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან მათი უმეტესობა საკავშირო და საერთაშორისო კლასის შედეგებს ვერ აჩვენებენ, ურომლისოდაც ფიქრიც კი ზედმეტია საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებების მიღწევაზე.

სპარტაკიადისთვის 9 დინამოელი ტანმოვარჯიშე ემზადება. ტანმოვარჯიშეები — სიხარულიძე, გოგიჩაიშვილი, შამუგია, ბახია შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე აუმჯობესებენ თავიანთ სპორტულ-ტექნიკურ მაჩვენებლებს. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლება მუზაშვილისა და რაჭველიშვილის მიმართ, რომლებიც ხშირად აცდენენ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას. კველიშვილმა და მარეხაშვილმა ვერა და ვერ მოაწესრიგეს თავიანთი „საბრძოლო წონის" რეგულირება.

ყოველ წელიწადს ტარდება სპარტაკიადა თბილისის „დინამოს" ორგანიზაციის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. წლეულს ასეთი სპარტაკიადა მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა არმიის გამარჯვების 30-ე წლისთავს და ჩატარდა დევიზით: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის". ასეთი ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აგიტაცია-პროპაგანდას. სამწუხაროდ, ჩატარებულ სპარტაკიადაში არ იგრძნობოდა სპორტული დღესასწაული, ბაზები, სადაც ეწყობოდა შეჯიბრებები, არ იყო მორთული ლოზუნგებით, დროშებით და ტრანსპარანტებით. არ იმართებოდა მონაწილეთა პარადი, სპარტაკიადის გახსნა და დახურვა საზეიმოდ არ ჩატარებულა.

ითქვა, რომ ნაკლოვანებებია სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაში. წლების განმავლობაში არ მოუმზადებიათ არც ერთი მაღალი კლასის სპორტსმენი მწვრთნელებს ჟ. ეპრალიძეს (ძალოსნობა), გ. ბუმბიაშვილს (კრივი), ი. კანდარიასს (მაგიდის ჩოგბურთი), ა. რაჩკინსა და ლ. ტერტერიანს (ტყვიის სროლა), ლ. სმირნოვას და ს. მაჩიტაძეს (ცურვა).

არავითარი გამართლება არა აქვთ ჩოგბურთის მწვრთნელებს, რომელთაც ბრწყინვალე საჩოგბურთო მოედნები აქვთ, მაგრამ ოთხმა მწვრთნელმა ვერც ერთი მაღალი კლასის სპორტსმენი ვერ მოამზადა. არადამაკმაყოფილებელია მშდ-ს მრავალჭიდში სპორტსმენთა მომზადება. ჩამორჩებით სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეში. საშველი არ დაადგა „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციას, რაც საგრძნობლად უშლის ხელს სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ხარისხიანად ჩატარებას, — თქვა მომხსენებელმა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ზ. ტარკილმა („დინამოს" აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ი. ბეზროდნიმ („დინამოს" აჭარის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), ე. გოკიელმა (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი), ა. ჩოგოვაძემ („დინამოს" ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ცაგარეიშვილმა („დინამოს" სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი), ნ. დუმბაძემ (რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის დირექტორი), ბ. პაიჭაძემ („დინამოს" სპორტკომბინატის დირექტორი), ჭ. გაბისონიამ (თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების განყოფილების ინსპექტორი).

პლენუმის მუშაობა შეაჯამა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ქ. კეთილაძემ.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა ნ. გვახარია აირჩია „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

## კონტროლი წინსვლის საფუძველია



ეს სპორტსმენები ცოტა ხნის წინათ დიდ სპორტში უცნობი იყვნენ, მაგრამ დღეს უკვე სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლების მფლობელები არიან. ჩელიაბინსკში დამთავრებულ წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატში ორივემ გაიმარჯვა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში.

სურათებზე: პენზელი ი. კალინინა (ზევით) და დნეპროპეტროვსკელი ვ. ტრევუზი.

საკდესნის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა და სპორტი — ხუთწლედის სამსახურში!

...ნდელ დარგობრივ სპარტაკიადა... ში შეჯიბრება ამ სახეობაშიც ჩატარდებოდა, მაგრამ ლელო ასპარეზობათა პროგრამიდან რატომღაც ბოლო მომენტში ამოიღეს! — გულისტკივილით თქვა „განთიადის" ...ხნო... საბჭოს თავმჯდომარემ ... ლავთაძემ, რომელმაც ამ ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში ...ვარი წელი გაატარა და ყველა მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის ცოცხალი მოწმეა.

— რა მიგაჩნიათ სპორტში წარმატებათა ძირითად წყაროდ? — ვკითხეთ.

საუბარში გაირკვა, რომ მთავარი მიზანი სპორტულ სარბიელზე გამარჯვებები და რეკორდების დამყარება კი არა, არამედ მშრომელთა შორის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების სათანადო დონეზე დაყენებაა. ამ მხრივ შესაძლოა ყველაფერი იდეალურად არ ჰქონდეთ, თუმცა აკლდეთ, მაგრამ საყვედური მაინც არ ეთქმით.

ქარხნის სპეციფიკურობის გამო საწარმოო ტანვარჯიში ყველა საამქროში ვერ დაუნერგიათ, მაგრამ მშრომლები უყურადღებოდ მაინც არ დაუტოვებიათ — მათთვის ღიაა გამაჯანსაღებელი, თევზჭერისა და ნადირობის ჯგუფების კარი, ტურიზმმაც ფეხი სათანადოდ მოიკიდა. განსაკუთრებით დიდი ტურისტული ლაშქრობა მოუწყვიათ 2 მაისსა და 8 ნოემბერს, რომლებშიც 150-მდე მშრომელს მიუღია მონაწილეობა. ერთმანეთს თევზაობაშიც გაჯიბრებიან. ყველასთვის კომუნალური განყოფილების უფროსს დ. პერანიძეს უჯობნია, მერე მშდ კომპლექსის ნორმატივის ჩაბარებაც გაუმართავთ.

რაკი მშდ კომპლექსი ვახსენეთ, იმასაც ვიტყვით, რომ იმ წელს, როცა საბჭოთა კავშირში მშდ ახალი კომპლექსი შემოიღეს, ქარხანაში ნორმატივების ჩაბარებაში პირველნი საერთო საკითხებში ქარხნის დირექტორის მოადგილე, 52 წლის მ. თუთბერიძე, პარტიული კომიტეტის მაშინდელი მდივანი, 47 წლის ო. ბუხნიკაშვილი, კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე, 60 წლის დ. შავიძე და სხვები ჩაებნენ. მშდ მას შემდეგ ქარხანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მარტო წელს ყველა საფეხურის ნორმატივები 204 კაცმა ჩააბარა.

მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მაღალმა დონემ, ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებამ გამოიწვია ის, რომ ფიზკულტურამ სპორტულ დაოსტატებასაც ხელი შეუწყო და თანრიგოსნების რიგებიც ყოველწლიურად მატულობს. წლეულს აქ 8-ის ნაცვლად 8 პირველთანრიგოსანი მოამზადეს, 281 კაცმა კი სხვა თანრიგების ნორმატივები შეასრულა.

— ამ კოლექტივმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ვადამდე ერთი წლით ადრე გაანაღდა. მართალია, ყველა მაჩვენებლები არ დაგვიჯამებია, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, ფეროელებს ზოგიერთ პუნქტში გადამეტებაც ექნებათ. ხუთწლედის ბოლოსთვის აქ 2342 ფიზკულტურელი უნდა იყოს, დღეისთვის 2350 კაცს ვითვლით, 25 პირველთანრიგოსნის ნაცვლად 48 მოამზადეს, 819 მშდ ნიშნოსნის მაგიერ 1824 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, დაახლოებით ასეთივე მაჩვენებლები აქვთ თანრიგოსნების, სახოგადოებრივი კადრების მომზადებაში,

— სიამაყით გვეუბნება ზესტაფონის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, სპორტის ოსტატი კ. ბაზაძე.

არც სამეფო მუშაობაა დავიწყებული. ქარხნის ფიზკულტურის საბჭომ ამას წინათ საკმაო რაოდენობის სპორტინვენტარი აჩუქა სოფელ ცხრაწყაროს საშუალო სკოლის კოლექტივს. მაგრამ ქარხანა ძირითადად ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლას (დირექტორი ზ. გველესიანი) უწევს მეურვეობას. ეს გასაგებიცაა. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილების უმეტესობა სწორედ ამ სასწავლებელშია. მე-4 სკოლის მოსწავლეებისთვის მუდამ ღიაა ქარხნის სპორტული ბაზების კარი და ისინიც მათი ხშირი სტუმრები არიან, აქ იმაღლებენ თანრიგს, აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის შესახებ საუბარი ფიზკულტურასა და სპორტზე დირექციის, პროფორგანიზაციის ზრუნვის კიდევ ერთი მაგალითით უნდა დავამთავროთ. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტმა წლეულს ფიზკულტურულ საქმიანობაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობაზე რამდენჯერმე იმსჯელა, მუშაობის უფრო გაშლისა და სპორტინვენტარის ფონდის შესავსებად 10 ათას მანეთზე მეტი დახარჯა. ქარხნის დირექციამ ამას თავის მხრივ 2000 მანეთი დაუმატა.

ყველა ერთად მცირე თანხა როდია, მაგრამ აქ უკვალოდ არაფერი იკარგება, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე დანახარჯს ქარხანა დიდი გადაჭარბებით ინაზღაურებს: ზრუნვის პასუხად ფიზკულტურელები და სპორტსმენები ხუთწლედის დავალებათა შესრულებისთვის ბრძოლაში გაორკეცებული ენერგიით შრომობენ. ძალოსანი ე. ხუტაშვილი, მოჭიდავეები — თ. შაქარაშვილი, რ. სარალიძე, კალათბურთელი კ. ლესნიაკი და სხვები (ისინი ასობით არიან) საწარმოო გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ. მარტო მეოთხე საამქროში (უფროსი ლ. მაღრაძე) 510 ფიზკულტურელია, საამქრო კი მოწინავეთა რიგებში დგას.

ფეროელთა ქება გაგვიგრძელდა, მაგრამ კოლექტივის საქმიანობის შემოწმებისას წავაწყდით ხარვეზებსაც, რომელთა გამოსწორება ამ ორგანიზაციას კიდევ უფრო წინ წასწევდა.

საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთი „ფერომდნობელი" (რედაქტორი ნ. მუმლაძე) კოლექტივის ფიზკულტურულ საქმიანობასაც სათანადო ყურადღებას უთმობს, მაგრამ „განთიადის" საქარხნო საბჭოს, ფიზკულტურულ ორგანიზაციას ხელს როდი შეუშლიდა ჰქონდეთ საკუთარი ყოველთვიური კედლის გაზეთი (ასეთი გაზეთები საამქროს ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც არ აწყენდათ), ეს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანდა.

საერთო საქმეს არც ის აწყენდა, თუ ფიზკულტურისა და სპორტის საკითხზე ლექციურ პროპაგანდასაც მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ხარისხი უფრო გაუმჯობესდებოდა 50-მეტრიანი ტირის გადახურვას რომ მოახერხებდნენ (ეს საკუთარი ძალებითაც შეუძლიათ).

და რაც მთავარია, ფიზკულტურასა და სპორტში ქალები უფრო მეტი რაოდენობით უნდა ჩააბან, უამისოდ ფეროელებს შეჯიბრებებში ბევრი ქულები დაუკარგავთ და ამას ალბათ მომავლისთვის გაითვალისწინებენ.

ფეროელ ფიზკულტურელებსაც აქვთ პრეტენზია. განსაკუთრებით „საქსპორტვაჭრობის" მაღაზიის მიმართ: სათანადო სტანდარტების ხარისხიანი სპორტული ფორმებისა და ინვენტარის რაიონში შეძენა არ ხერხდება.

გვჯერა, ზესტაფონელი ფერომდნობელი ფიზკულტურელები თავიანთ საქმიანობას მომავალი წლიდან მეტ კონტროლს გაუწევენ, ჩატარებული მუშაობის შემოწმება სათანადო სიმაღლეზე ავა და წარმატებებიც ერთი-ორად იმატებს.

ო. ბელაშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.)

ზესტაფონი.

# ...თუ საფუძველი არ არის მყარი

## ქუთაისი: უტური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ამას წინათ საგარეჯოში ჩატარდა, მრავალმხრივ იყო საგულისხმო. ჯერ ერთი, ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო მოჭიდავეთა რეკორდულმა რაოდენობამ (21), ამას გარდა, ტურნირი საუკეთესოდ იყო ორგანიზებული, რაც ერთის მხრივ საგარეჯოელ სპორტის მესვეურთა უდავო დამსახურებაა, მეორეს მხრივ კი მსაჯთა კოლეგიის (მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი შ. ზუკაკიშვილი) ზუსტი და ოპერატიული მუშაობის შედეგი.

სხვათა შორის, აბსოლუტური პირველობის გათამაშება მუდამ დაძაბულ ხასიათს ატარებს და ამის გამო ემოციებს აყოლილი მოჭიდავეები ან მწვრთნელები ზოგჯერ ზომას გადადიან ხოლმე, წლევანდელ ტურნირში კი არა თუ წესრიგის დარღვევას, მსაჯთან უბრალო შეკამათებასაც არ ჰქონია ადგილი. ეს, ჩვენი აზრით, შეჯიბრების მონაწილეთა, მწვრთნელების, მსაჯებისა და, საერთოდ, საჭიდაო აქტივის დიდი დამსახურებაა.

ტურნირში, როგორც უკვე ვთქვით, მონაწილეობდა 21 ფალავანი, რომლებიც 8 ქალაქსა და რაიონს წარმოადგენდნენ. ყველაზე მეტი მოასპარეზე, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისმა გამოიყვანა — 8. 3-3 მოჭიდავე ჰყავდათ რუსთავსა და თელავს, 2-2 — სამხრეთ ოსეთსა და ახმეტას, თითო — ქუთაისს, საგარეჯოს და კასპს.

ასპარეზობის მონაწილენი 4 ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. საუკეთესოდ იჭიდავეს და ჯგუფებში I ადგილები დაისაკუთრეს თბილისელებმა ი. ძეგლიგაშვილმა, ზ. ბახტაძემ, ო. შამვიაშვილმა, თელაველმა თ. წითელაურმა. აი, სწორედ მათ და კიდევ ჯგუფებში II-III ადგილებზე გასულმა მოჭიდავეებმა შექმნეს ნახევარფინალური ქვესვეულები, რომლებმაც დაასახელეს ტურნირის დასკვნით ნაწილში — ფინალში მოასპარეზეთა ვინაობა.

მძიმე, მომქანცველი, მაგრამ საპატიო ბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები, ისინი, ვისაც საბოლოო გამარჯვების შანსი შემორჩათ. ზემოჩამოთვლილ კვარტეტს დაემატა კიდევ ორი ფალავანი — რუსთაველი ჯ. ჩიხრაძე და ქუთაისელი ვ. მერკვილაძე.

დაიწყო გადამწყვეტი შეხვედრები, უშეღავათო ბრძოლები, სადაც ყოველ ილეთს, ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ ბრძოლებში სხვებზე მეტად გამოიჩინა თავი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ი. ძეგლიგაშვილმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო ერთის გარდა. II ადგილზე გასულ თანაგუნდელთან ზ. ბახტაძესთან ბრძოლა მან ფრედ დაამთავრა. ძეგლიგაშვილმა დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება. III საპრიზო ადგილი წილად ხვდა თელაველ თ. წითელაურს. უძლიერესთა ექვსეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 4. ო. შამვიაშვილი, 5. ვ. მერკვილაძე, 6. ჯ. ჩიხრაძე.

• • •

გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ამ შეჯიბრების მთავარ მსაჯს შ. ზუკაკიშვილს.

● ხართ თუ არა კმაყოფილი ტურნირით?

— შეჯიბრებამ კარგად ჩაიარა. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ამას აღნიშნავს ყველა მონაწილე, მწვრთნელი, სტუმარი. კმაყოფილი ვარ იმის გამოც, რომ ბრძოლა ყველაზე საპატიო ტიტულისთვის საინტერესო და შინაარსიანი იყო. ბევრმა ფალავანმა მზარდი ოსტატობა გამოავლინა.

● თქვენ ალბათ მხედველობაში გყავთ გამარჯვებული და პრიზიორები?

— გამარჯვებულზე ბევრს არაფერს ვიტყვი, ვინაიდან ასეთ შეჯიბრებაში გამარჯვება თავისთავად მრავლის მეტყველია, თანაც ძეგლიგაშვილი გამოცდილი ათლეტია, მრავალ ბრძოლაში ნაცადი და ნაწრთობი. მე მხედველობაში მყავს უფრო ახალგაზრდა მოჭიდავეები. აი, თუნდაც, ბახტაძე. იგი 18 წლისაა, მაგრამ იბრძვის ისე, თითქოს სარბიელის ვეტერანიაო. გაბედულია, წინდახედული, არ აჩქარდება, მაგრამ თვალი სულ ბრძოლის გამწვავებისკენ უჭირავს.

● ეს ძვირფასი თვისება ჩვენს მოჭიდავეებში ბოლო ხანს რატომღაც არ შეიმჩნევა.

— მართალი ბრძანდებით და ამიტომაც სასიხარულოა, როცა ახალგაზრდებს მრავალფეროვნებისკენ ლტოლვას ამჩნევ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისელმა მერკვილაძემაც. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თუ ახალგაზრდა ათლეტმა ასეთივე ტემპით განაგრძო წინსვლა, უეჭველად დიდ წარმატებას მიაღწევს. მერკვილაძე მშვენივრად ფლობს ქართული ჭიდაობის ილეთებს და ეს არის მისი მთავარი ღირსება, ამავე დროს უშიშარია და აზარტული, ოღონდ ზომიერად.

● ქუთაისში რომ ასეთი პერსპექტიული ფალავანი აღიზარდა, ალბათ ქართული ჭიდაობის პოპულარობას უნდა მივაწეროთ. როგორ არის ამ მხრივ სხვაგან საქმე?

— ქართული ჭიდაობა ყველგან ერთნაირად როდია დაფასებული. მე, როგორც ამ სპორტის სპეციალისტს და თაყვანისმცემელს, მწყინს, რომ ბევრგან ჩვენი ეროვნული საუნჯე მივიწყებულია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მაგალითზე.

● უფრო კონკრეტულად ხომ არ გაგვიმარტავთ, რაში მდგომარეობს ეს მივიწყება და ვინ გყავთ მხედველობაში?

— აი, თუნდაც გორი, დიდი საჭიდაო ტრადიციების ქალაქი. გორში ახლაც პოპულარულია ჭიდაობა, ოღონდ ძიუდო, სამბო, თავისუფალი. ქართულ ჭიდაობას კი გორელები აღარ „კადრულობენ", მაგრამ ავიწყდებათ, რომ მათი წარმატებები სხვა სახეობებში სწორედ ქართული ჭიდაობის მადლითაა მიღწეული. ძიუდო, რა თქმა უნდა, კარგია, სამბოსაც თავისი ადგილი აქვს, მაგრამ თუ საფუძველი არ გვექნა მყარი, მაშინ ერთიც სულ მალე დაკარგავს თავის მნიშვნელობას და მეორეც. იგივე უნდა ვთქვა კასპის, მცხეთის, წითელწყაროს, ყვარლისა და სხვა რაიონების მისამართით.

● თქვენ არაფერი თქვით საგარეჯოზე. არა და დიდი ტრადიციების მქონე რაიონმა აბსოლუტურ პირველობაში, თუ არ ვცდებით, მხოლოდ ერთი მონაწილე გამოიყვანა.

— გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხში მართალი ბრძანდებით. ტურნირის დღეებში ჩვენ ვიზეიმეთ საგარეჯოს მკვიდრის შალვა გზირიშვილის 60 წლისთავი. ჯერ თუნდაც ეს ფაქტი ავალდებულებდა რაიონის საჭიდაო აქტივს უფრო ქმედითი მონაწილეობა მიეღო ასპარეზობაში. მაგრამ, ეტყობა, არსენ მეკოკიშვილისა და შალვა გზირიშვილის მშობლიურ რაიონში გამქრალია ფალავნები. ნუთუ საგარეჯოს სპორტისა და ჭიდაობის მესვეურთ აკმაყოფილებს ერთი მოჭიდავე რევაზიშვილი, რომელიც, თუ არ ვცდები, ერთ-ერთ ბოლო ადგილზე გავიდა. ზემოთ კასპზე მოგახსენეთ. იქაც ანალოგიური სურათია: ნუცზარაშვილმა, რომელიც ამ რაიონის ღირსებას იცავდა, ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა, არა და კასპი საქართველოს მრავალგზის ფალავნის ამირან ვარდოშვილის სამშობლოც არის. ნუთუ საგარეჯოში, კასპში, მცხეთაში აღარავის ერჩის გული, აღარავის აქვს სურვილი ზურნისა და დოლის ხმას თავისი მკლავისა და მუხლის ძალა შეავებოს? ქართული ჭიდაობის დავიწყება სირცხვილია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სპორტში სახელი სწორედ ქართული ჭიდაობით გაითქვეს.

• • •



სურათზე: საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ი. ძეგლიგაშვილი პრიზით ხელში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ფეხბურთი

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა წლეულს 42 ოფიციალური მატჩი ჩაატარეს, საიდანაც 14 მოიგეს, 16 ფრედ დაამთავრეს, 12 წააგეს, გაიტანეს 45 და გაუშვეს 46 ბურთი.

დინამოელთა წლევანდელ თამაშებს კონკრეტულად ასეთი სახე აქვს:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| სა[კ]. ჩემპიონატი | 30 | 8 | 14 | 8 | 29—34 |
| სსრკ თასი | 8 | 4 | 2 | 2 | 11—7 |
| საერთ. მატჩები | 4 | 2 | 0 | 2 | 5—5 |

ამ მატჩებში 11 ბურთი გაიტანა მ. მაჩაიძემ, 5-5 — ყიფიანმა, ჭელიძემ, და გ. ნოდიამ, 4 — გუცაევმა, 3 — წერეთელმა, 2-2 — ასათიანმა, რეხვიაშვილმა, ქანთარიამ და მჭედლიშვილმა, თითო — ხურცილავამ, ძოძუაშვილმა, ებრალიძემ და ქებუამ.

წლეულს დინამოელებს თითო მატჩში საშუალოდ 1 გოლი გაჰქონდათ, შარშან კი ეს მაჩვენებელი 1,5-ს უდრიდა (შარშანწინ 2 გოლზე მეტი იყო). შესაბამისად იკლო ბომბარდირთა შედეგებმაც: გ. ნოდიას შარშანწინ 26 ბურთი ჰქონდა გატანილი, შარშან — 15, გუცაევს შარშანწინ — 9, შარშან — 6.

თბილისის „დინამოს" ახლანდელ შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში გატანილი გოლებით სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა: გ. ნოდია — 94, გაგუა — 48, ასათიანი — 27, მ. მაჩაიძე — 19, ხურცილავა, ყიფიანი, გუცაევი — 15-15, ლ. ნოდია — 11, რეხვიაშვილი — 10, ჭელიძე — 7, ძოძუაშვილი, ებრალიძე, მჭედლიშვილი — 5-5, წერეთელი — 4, ქანთარია — 1.

ზ. გარაყანიძე.

# სამ ეტაპად

ბრატსკში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი საციგაო სპორტში. ოქროს მედლებისთვის იბრძვის ბელორუსიის, ლატვიის, ყაზახეთის, საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების 80 წარმომადგენელი, რომელთა შორის 26 ქალია.

პირველობა 3 ტურად ტარდება და დასკვნითი შეხვედრები გაიმართება გაზაფხულზე, რის შემდეგ გამარჯვებულებს გადაეცემათ ჯილდოები.

ჩემპიონატი ერთადგილიანი ციგებით შეასპარეზე ვაჟებმა გახსნეს. ლენინგრადელმა ს. ხაილოვმა („სპარტაკი") პირველივე ცდაზე ტრასის რეკორდი დაამყარა — 47,58 წამი. 3 დაშვების ჯამში მან 2.23,58 აჩვენა და ლიდერიც გახდა.

ქალები პირველ დღეს თითოჯერ დაეშვნენ. ყველაზე კარგი შედეგი აქვს რიგელ ვ. ზაზულიას („ვარპა") — 41,91.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნუველ დე მოსკუს" ლაურეატები

მოსკოვში დამთავრდა ყოველკვირეული გაზეთის „ნუველ დე მოსკუს" პრიზის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა ფიგურისტებმა. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებს ი. როდნინასა და ა. ზაიცევს, რომლებმაც მაყურებლები მოხიბლეს მაღალი ოსტატობით. მწვრთნელების გადაწყვეტილებით, ამ წყვილმა აღარ შეასრულა ნებისმიერი პროგრამა, რომლითაც ისინი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოვლენ. ესტაფეტა მიიღეს მათმა უმცროსმა კოლეგებმა — მოსკოველებმა ნ. გორშკოვამ და ე. შევალოვსკიმ, რომლებმაც გაიმარჯვეს წყვილთა შეჯიბრებაში. კვლავ გაახარეს გულშემატკივრები სპორტული ცეკვის დიდოსტატებმა — ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა. ისინი შეუდარებელნი იყვნენ და დამსახურებულად მოიპოვეს პირველობა. ქალთა ფიგურულ სრიალში კანადის ჩემპიონმა ლ. ნაიტინგელმა გაიმარჯვა, ხოლო ვაჟთა შორის — მოსკოველმა ვ. კოვალიოვმა.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ლ. ნაიტინგელი; მარჯვნივ — ნ. გორშკოვა და ე. შევალოვსკი ასპარეზობისას.

საკდესის ფოტოები.



# ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმში

ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა მოჭადრაკე ვაჟთა ფინალური მატჩის შედეგები მსოფლიო პირველობაზე და აღნიშნა, რომ შეჯიბრება მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდა. პრეტენდენტთა ფინალურმა მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც საბჭოთა ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მან ხელი შეუწყო ჭადრაკის პროპაგანდას.

მატჩის ორივე მონაწილე — ა. კარპოვიც და ვ. კორჩნოიც ყველა პარტიაში მაღალი ოსტატობით იბრძოდა, შეჯიბრება დაძაბული და უშეღავათო იყო.

დიდოსტატ ა. კარპოვის გამარჯვება წარმოადგენს ბოლო წლების შეჯიბრებებში, საზონათშორისო ტურნირსა და პრეტენდენტთა ციკლის მატჩებში მისი წარმატებითი გამოსვლების კანონიერ შედეგს.

ფინალური მატჩის სპორტულმა და შემოქმედებითმა შედეგებმა საბჭოთა და უცხოელ მიმომხილველთა უმრავლესობის მაღალი შეფასება მიიღო, ამასთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს დიდოსტატ ვ. კორჩნოის მიერ მატჩის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუ, სადაც კნინდება და სათანადო შეფასება არ ეძლევა მატჩში გამარჯვებულის შედეგებსა და თამაშს, ამასთან კორჩნოი მხარს უჭერს რ. ფიშერის უსაფუძვლო მოთხოვნებს მსოფლიო პირველობაზე მატჩის რეგლამენტის გადასინჯვის შესახებ.

ყველაფერი ეს მით უფრო განცვიფრებას იწვევს, რომ კორჩნოისთვის კარგადაა ცნობილი: ფიდე-ს კონგრესმა მიმდინარე წელს ორჯერ განიხილა ფიშერის მოთხოვნები და უარყო ისინი.

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა დიდოსტატი ვ. კორჩნოი პრესაში გამოდის დაუკვირვებელი და თვითრეკლამის ხასიათის განცხადებებით. პრეზიდიუმი გმობს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრის ვ. კორჩნოის უსწორო საქციელს.



## ოლიმპიური ამბები

**ვარშავა.** პოლონეთში მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ენერგიულად ემზადებიან. ქვეყნის სპორტულ დელეგაციაში, რომელიც ოლიმპიადის 19 ან 20 სახეობაში იასპარეზებს, 306 კაცი შევა. მონრეალში ისინი სულ ცოტა 13 სახეობაში ვარაუდობენ მედლების მოპოვებას. პოლონეთის ნაკრების პროგრამა-მინიმუმია 176 ქულის მოგროვება, მაქსიმუმი — 239, სულ პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტი მონრეალიდან 32 მედლის წამოღებას გეგმავს. ყველაზე მეტი მედლის მოპოვებას კრივში, სპორტულ ტანვარჯიშში (ვაჟები), ძიუდოში, ნიჩბოსნობაში, ძალოსნობაში, ჭიდაობაში, ტყვიის სროლასა და ფეხბურთში ვარაუდობენ.

## მძლეოსნობა

**ბერლინი.** გდრ-ის მძლეოსანთა იმედს უწოდებენ 18 წლის ელონა შოკნეჰტს, რომელმაც წლეულს 11 მაისიდან 28 აგვისტომდე გამართულ შეჯიბრებებში ქვეყნის გოგონათა რეკორდი 12-ჯერ გააუმჯობესა და 17,05 მეტრიდან 18,67 მეტრამდე აიყვანა, ამასთან, გოგონათა მსოფლიო მიღწევა ექვსჯერ გააუმჯობესა. შოკნეჰტმა სეზონის უკანასკნელ შეჯიბრებაში თავის თავსაც გადააჭარბა — 19,23 მეტრი აჩვენა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში ბირთვის კვრაში.

**მონრეალი.** ზაფხულის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში 1976 წლის 23-31 ივლისს გაიმართება (27 ივლისი დასვენების დღეა).

# ვინ იქნება პირველი?

**XIV ტური.** რ. კინი (ინგლისი) — ე. უბილავა 0,5:0,5, ე. გუფელდი (ორივე — თბილისი) — ა. შნაპიკი (პოლონეთი) 1:0, ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი) — ვ. შმიდტი (პოლონეთი) 0,5:0,5, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი) 1:0, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — გ. სიგურიონსონი (ისლანდია) 1:0, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — თ. გიორგაძე (თბილისი) 0,5:0,5, ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 1:0, გ. ლებრედო (კუბა) — ბ. გურგენიძე (თბილისი) 0:1.

XI ტურიდან გადადებულ პარტიაში ნიჩევსკი დანებდა ბოხოსიანს.

14 ტურის შემდეგ ე. გუფელდს 9,5 ქულა აქვს, თ. გიორგაძეს — 9, ვ. ბაგიროვს, რ. ხოლმოვს, გ. სიგურიონსონს — 8,5-8,5, ვ. ჩოკილტიას — 8.

ის, რომ ყველაზე ადრე კინ-უბილავას შეხვედრა დამთავრდა, არავის გაკვირვებია. საქართველოს ჩემპიონს ყაიმი ხელს აძლევდა, რითაც საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს ასრულებდა. ახალინდურ დაცვაში მან მეტოქის მუქარა უვნებელყო და პოზიცია სავსებით გაათანაბრა. ინგლისელმა კოლეგამ პირველმა მიულოცა უბილავას დამსახურებული წარმატება.

ლიდერთა შეხვედრებში მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. შნაპიკმა ალღო ვერ აუღო გუფელდის შეტევით ოპერაციას და ეფექტური იერიშის ქვეშ მოჰყვა. 24-ე სვლაზე იგი წაგებას შეურიგდა.

გიორგაძე ხოლმოვის ყოველ სვლას სწრაფად პასუხობდა. პარტიის შემდეგ დიდოსტატმა თქვა:

— მეგონა ახლებურად ვთამაშობდი ინგლისურ დასაწყისს. მიკვირდა თამაზის სწრაფი თამაში. თურმე იუგოსლავიის საჭადრაკო ინფორმატორის ერთ-ერთ ნომერში ყველაფერი ეს კარგადაა გაანალიზებული. მე კი არ ვიცოდი. ამიტომ უპირატესობაც ვერ მივიღე.

საუცხოოდ იბრძოლა ბაგიროვმა. სიგურიონსონის პოზიციაში მან მიაგნო უპირატესობის მიღების გზას: თეთრი დიაგონალები დაიპყრო. ისლანდიელმა მოჭადრაკემ კონტრთამაში ვერააწყო და 29-ე სვლაზე დანებდა.

გაფრინდაშვილმა და ჩოკილტიამ უშეღავათო პაექრობა გააჩაღეს ცაიტნოტში. ჩემპიონმა ქალმა უსწოროდ ითამაშა და მატერიალურად დაზარალდა. ამით პარტიის ბედიც გადაწყდა.

დღეს მემორიალში დასკვნითი, XV ტურია. მან უნდა დაასახელოს პირველი პრიზის მფლობელი. ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები: უბილავა — გუფელდი, გიორგაძე — ჩოკილტია, სიგურიონსონი — ხოლმოვი და ტუზოვსკი — ბაგიროვი.

**თ. გიორგაძე.**

მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.




• •

მეგობრული შარჟი



ვ. ჩოკილტია (რუმინეთი).
შ. შანიძის ნახატი.

# დაწინაურდა მ. ტალი

ლენინგრადში 42-ე საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში შედგა X ტური. მ. ტალმა (რიგა) მოუგო მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი), ი. ბალაშოვმა (მოსკოვი) — ო. რომანიშინს (ლვოვი), ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) — ვ. სავონს (ხარკოვი). ყაიმით დამთავრდა ბ. გულკო (მოსკოვი) — ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი) და მ. დვორეცკი — კ. გრიგორიანის (ორივე — მოსკოვი) შეხვედრები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი — 7 ქულა, II ადგილზეა ლ. პოლუგაევსკი — 6,5 ქულა.

14 დეკემბერს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.




# მორიგი ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტო" და „სპორტლოტო-2"-ის 34-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (64 ბარათი), ოთხისთვის — 98 მანეთი (606), სამისთვის—3 მანეთი (141575).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. მოგება ხუთი ნომრის სწორად გადახაზვისთვის 5000 მანეთია (19 ბარათი), ოთხისთვის — 80 მანეთი (2163), სამისთვის — 3 მანეთი (42417).

34-ე ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოებს შემნახველ სალაროებში 1974 წლის 21 დეკემბრიდან 1975 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მორიგი ტირაჟი 20 დეკემბერს გაიმართება.

# მეცადინეობა განახლდა

ყველა სპორტულ ნაგებობას, რომლებიც დანგრეული იქნა ისრაელის აგრესიის დროს სუეცის არხის მიდამოებში, აღადგენენ მომავალი წლის ზაფხულისთვის. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება გააკეთეს ისმაილიაში, პრეს-კონფერენციაზე.

უკვე სექტემბრის მიწურულიდან 169 სკოლის კარი გაიღო სუეცში, ისმაილიაში და პორტ-საიდში.

## იდეალური ცოლი

ინგლისის სპორტულ პრესაში, ხუმრობით თუ სერიოზულად, საკითხი წამოჭრეს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს პროფესიონალი ფეხბურთელის ცოლი. კონკურსში ათასობით ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. გამოირკვა, რომ ფეხბურთელის ცოლი:

... თანაგრძნობით უნდა მოეკიდოს თავისი ქმრის გუნდის წაგებებს და მოერიდოს ორაზროვან შენიშვნებს;

... ვალდებულია ზედმეტი სიტყვების გარეშე გაუშვას ქმარი ვარჯიშებზე;

... სისტემატურად უნდა კითხულობდეს რეცენზიებს განვლილ მატჩებზე;

... ყოველნაირად შეეცადოს საპასუხისმგებლო მატჩების წინ შინ არ მოიყვანოს სიდედრი;

... არავითარ შემთხვევაში არ უნდა თამაშობდეს თვითონ ფეხბურთს, ვინაიდან ერთი ფეხბურთელი ოჯახში სავსებით საკმარისია;

... არ უნდა ახსენებდეს პელეს სახელს ოჯახში, რათა არ შელახოს ქმრის თავმოყვარეობა უადგილო შედარებებით;

... არ უნდა დავობდეს ფეხბურთის წესებზე, ვინაიდან ეს მამაკაცებს საშინლად ეჯავრებათ.

## 5000 წლის წინათ

სამხრეთ ერაყში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას მიაგნეს უტყუარ საბუთებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ურუკის სამეფოში ჯერ კიდევ XXX საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ე. ი. 5000 წლის წინათ, იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები. მათი შედეგები იწერებოდა სასახლის ქრონიკაში.

უძველესი წარწერების გაშიფვრისას დადგინდა, რომ იმ ხანებში პოპულარული ყოფილა რბენა სხვადასხვა დისტანციაზე, ჭიდაობა და... ლომებზე ნადირობა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57 პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47 93-97-53 ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04873